საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/13 "18" იანვარი 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის დანამატების დაწესებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლისა და „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში, 2016 წლის განმავლობაში დაუწესოს დანამატი სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარეს თვეში 1500 ლარის ოდენობით, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თანამშრომლებს - თვეში 9 150 ლარის ოდენობით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი